ა(ა)იპ მოძრაობა სამართლიანი მედიცინა

ს/კ: 412758154

MOVEMENT FOR FAIR MEDICINE NGO

I/C: 412758154

31.05.2021წ

მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საკანონმდებლო წინადადებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საკანონმდებლო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს კანონპროექტის ანდა მოსამზადებელი კანონპროექტის ძირითადი პრინციპების ან კონკრეტული წინადადების სახით. მოცემულ შემთხვევაში საკანონმდებლო წინადადებას წარმოგიდგენთ კონკრეტული წინადადების სახით.

ა(ა)იპ „მოძრაობა სამართლიანი მედიცინა" (ს/ნ 412758154) არის არაკომერციული მიზნებისთვის შექმნილი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი ამოცანა არის სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვა და ამ საკითხის ლობისტური უზრუნველყოფა საზოგადოებაში და სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებში.

მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ რაც საქართველოში ახალმა კორონავირუსმა (Covid 19) შემოაღწია, სამედიცინო პერსონალი თავდაუზოგავად ებრძვის ამ დაავადებას. სამწუხაროდ ფიქსირდება არაერთი შემთხვევა, როდესაც სამედიცინო პერსონალი დაავადდა ახალი კორონავირუსით (Covid 19) და გარდაიცვალა. ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა ოფიციალურ უწყებებს(ჯანდაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, საქართველოს სტატისტიკის ეროსვნულ სამსახურს) და გამოითხოვა ინფორმაცია, რომელშიც ქნებოდა ასახული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ახალი კორონავირუსით (Covid 19) გარდაცვლილი სამედიცინო პერსონალის შესახებ, თუმცა სამწუხაროდ დღემდე აღნიშნულის შესახებ სტატისტიკა არ აქვთ ნაწარმოები შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს (იხ. დანართი 1). ჩვენმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად მოიპოვა 2020-2021წწ პერიოდში ახალი კორონავირუსით გარდაცვლილი მედპერსონალის შესახებ ინფორმაცია, რომელთა რიცხვი ამ დროის მონაცემებით შეადგენს 26 გარდაცვლილ პიროვნებას.

იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო პერსონალის როლი განუზომლად დიდია ძლიერი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც განსაზღვრული იქნება კომპენსაციის განაკვეთები და გაცემის წინაპირობები, იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო პერსონალი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა ანდა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე ჩვენი საკანონმდებლო წინადადება არის შემდეგი: განისაზღვროს შესაბამისი საკომპენსაციო განაკვეთები და გაცემის წინაპირობები იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო პერსონალი გარდაიცვალა ან მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს.

გთხოვთ მოცემულ საკანონმდებლო წინადადებას მისცეთ შესაბამისი მსვლელობა, რომელიც გათვალისწინებული არის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7081/21
„31" 05 2021 წ. ფურც. 4

გამოვთქვათ მზაობას დავესწროთ მოცემული საკანონმდებლო წინადადების შესაბამისი კომიტეტის მიერ განხილვას.

დანართები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 29.03.2021წ წერილი №01/4511.
2. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 19.04.2021წ. წერილი N06/1445;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირთა რეესტრიდან.

პატივისცემით,

ორგანიზაციის თავჯდომარე

ზურაბ ბაბუნაშვილი

თბილისი 0171, პავლე ასლანიდის 23/25, ბ 74.
Tbilisi. ტელ: +995 555 10 34 43
ელ. ფოსტა: movement@gmail.com

23/25 Pavle Aslanidi, apt 74. 0171
Tel: +995 555 10 34 43
E-mail: movement@gmail.com

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21017780, 05/03/2021 18:08:45

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	მოძრაობა სამართლიანი მედიცინა
სამართლებრივი ფორმა:	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო ნომერი:	412758154
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	05/03/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი ქუთაისი, შოთა ლეჟავას ქუჩა, N 4, ბინა 19

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: movmedicine@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- გამგეობა

  თავმჯდომარე/წევრი: ზურაბი ბაბუნაშვილი, [redacted]

  წევრი: ლევანი გვარამაძე, [redacted]

  წევრი: ნიკოლოზ უბირია, [redacted]

- წევრთა საერთო კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- თავმჯდომარე - ზურაბი ბაბუნაშვილი, [redacted]

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030669407544721

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1445

19 / აპრილი / 2021 წ.

ა(ა)იპ „მოძრაობა სამართლიანი მედიცინა"-ს
ორგანიზაციის თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ ბაბუნაშვილს
(1/ნ 412758154; ტელ: [redacted]
ელ-ფოსტა: [redacted])

ბატონო ზურაბ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 მარტის განცხადება განცხადება, სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია კორონავირუსით 2020-2021 წწ. პანდემიის პერიოდში გარდაცვლილი მედპერსონალის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე.
აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ covid-19- ით გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაცია კომპეტენციის ფარგლებში განთვსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: https://www.ncdc.ge/#/pages/content/1e69682c-6dea-41f0-925d 96be2d438ee1.
ამასთანავე გაცნობებთ, რომ სიკვდილიანობის სტატისტიკის ოფიციალური დისტრიბუტორია საქსტატი, რომელიც 30 ივნისს განათავსებს ვებ გვერდზე სიკვდილიანობის სტატისტიკას კლასების მიხედვით. აქედან გამომდინარე ცენტრი მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვა უწყების პრეროგატივას.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლალი ებანოიძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030111813307821

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4511

29 / მარტი / 2021 წ.

მოქალაქე ზურაბ ბაბუნაშვილს
movmedicine@gmail.com

ბატონო ზურაბ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2021 წლის 9 მარტს შემოსული თქვენი N21631 განცხადების პასუხად, რომელშიც მოთხოვნილია სტატისტიკური ინფორმაცია 2020-2021 წლებში, covid-19- ით გარდაცვლილი სამედიცინო პერსონალის თაობაზე, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ covid-19-ით გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: https://www.ncdc.ge/#/pages/content/1e69682c-6dea-41f0-925d 96be2d438ee1.

რაც შეეხება ინფორმაციას კონკრეტულად, covid-19-ით გარდაცვლილი სამედიცინო პერსონალის თაობაზე, აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კომპეტენციას.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ანა დარახველიძე

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების
სამმართველოს უფროსი, მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი